# პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომა

## სხდომის ოქმი N4

**28 დეკემბერი, 2015 წელი**

| | |
|---|---|
| **შეხვედრის დასახელება** | **პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომა** |
| **შეხვედრის თარიღი:** | **28 დეკემბერი, 2015 წ.** |
| **შეხვედრის ადგილი:** | **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო** |
| **შეხვედრის მონაწილეები:** | |
| **სახელი, გვარი** | **თანამდებობა** |
| ქეთევან ნატრიაშვილი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე |
| დავით გალეგაშვილი | საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე |
| ელგუჯა მელაძე | ა(ა)იპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი |
| მაია ჩიხლაძე | ა(ა)იპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი; ქალ-მეწარმეთა ასოციაციის გამგეობის წევრი |
| მიხეილ ჭელიძე | ა(ა)იპ საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი |
| ილია ვერძაძე | ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე |
| თამაზ დოლაბერიძე | ა(ა)იპ საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირების თავმჯდომარე |
| ლავრენტი ალანია | ა(ა)იპ საქართველოს ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე |
| გოჩა ალექსანდრია | ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე |
| ირინე ინასარიძე | ა(ა)იპ ასოციაციის „ანიკა“ დირექტორი |
| სერგო თურმანიძე | ა(ა)იპ ასოციაციების მართვის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი |
| თემურ ყანდაშვილი | ა(ა)იპ კავშირის „„განათლება და კეთილდღეობა" გამგეობის თავმჯდომარე (კოალიციის ,,განათლება ყველასათვის“ გამგეობის წევრი) |
| ალექსანდრე ეჯიბაძე | ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული განათლების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე |
| ირინა წერომე | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი |
| ნიკოლოზ მესხიშვილი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი |

| | |
|---|---|
| ანა ჩხიკვაძე | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელი |
| ნინო ელბაქიძე | სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერი |
| თამარ მახარაშვილი | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე |
| ლაშა მარგიშვილი | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი |
| ნინო ბერელიძე | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კვალიფიკაციების მართვისა და არაფორმალური განათლების სამმართველოს უფროსი |
| შორენა შიუკაშვილი | საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის ახალგაზრდული პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი |
| ლელა მაისურაძე | საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის პროფესიული განათლების პოლიტიკის ადგილობრივი ექსპერტი |
| ანასტასია ქიტიაშვილი | ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) პროექტის ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი |
| თამარ ქიტიაშვილი | გაეროს განვითარების პროგრამა, პროფესიული განათლების მრჩეველი |
| თეა გულუა | გაეროს განვითარების პროგრამა, პროფესიული განათლების სპეციალისტი |
| ეკა ლომინაშვილი | ა(ა)იპ საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი |
| იური ლებანიძე | ა(ა)იპ საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარებისა და მხარდაჭერის ასოციაციის წარმომადგენელი |
| ნინო ღანიშაშვილი | ა(ა)იპ ქალთა ბიზნეს ასოციაციის „ვიმენ ფორ თუმოროუ“ წარმომადგენელი |
| ხათუნა ჩხარტიშვილი | სს ,,გუდვილის“ წარმომადგენელი |
| **შეხვედრის მდივანი** | |
| მარიამ შოთაძე | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი |

| **შეხვედრის დღის წესრიგი** | | | |
|---|---|---|---|
| **N** | **თემა** | **ხანგრძლივობა** | **მომხსენებელი** |
| 1 | სხდომის გახსნა;<br>ქვორუმი;<br>დღის წესრიგის გაცნობა. | 5 წთ. | **ქეთევან ნატრიაშვილი,**<br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | **განსახილველი/შესათანხმებელი თემები** | | |
| 2.1 | პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში | 10 წთ. | **ირინა წეროძე,**<br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი. |
| 2.2 | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტის საბოლოო ვერსიის განხილვა | 15 წთ. | **ნინო ბერელიძე,**<br>სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კვალიფიკაციების მართვისა და არაფორმალური განათლების სამმართველოს უფროსი. |
| 2.3 | პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და კარიერული ზრდის რეგულაციის დოკუმენტის განხილვა (მეორე განხილვა) | 15 წთ. | **ნინო ელბაქიძე,**<br>სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერი. |
| 2.4 | პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებები 2015 წელს და 2016 წლის გეგმის მიმოხილვა | 15 წთ. | **ნინო ელბაქიძე,**<br>მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერი. |
| 2.5 | სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა - კონცეფცია | 15 წთ. | **ნიკოლოზ მესხიშვილი,**<br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი. |
| 2.6 | პროფესიული კვალიფიკაციების შეფასების გარე ხარისხის უზრუნველყოფის | 15 წთ. | **ლაშა მარგიშვილი,**<br>სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | (ვერიფიკაციის) ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა | | |
| 3 | **საინფორმაციო თემები** | | |
| 3.1 | პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საპილოტე სქემის განხორციელების სამოქმედო გეგმის განხილვა | 10 წთ. | **ირინა წეროძე,**<br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი. |
| 4 | **დისკუსია;**<br>**პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს 2015 წლის საქმიანობის შეჯამება - ძირითადი რეკომენდაციები** | 20 წთ. | **ქეთევან ნატრიაშვილი,**<br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე. |

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ქ-ნი ქეთევან ნატრიაშვილი, მიესალმა პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომის მონაწილეებს. მან მოწვეულ სტუმრებს გააცნო დღის წესრიგი და სთხოვა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსს, ქ-ნ ირინა წეროძეს, წარმოედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი - პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში. ანგარიშში ასახული იყო 2015 წლის განმავლობაში, პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელებული ყველა აქტივობა და მიღწეული შედეგები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტის საბოლოო ვერსია - წარმოადგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კვალიფიკაციების მართვისა და არაფორმალური განათლების სამმართველოს უფროსმა, ქ-ნმა ნინო ბერელიძემ. პროექტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, საჯარო განხილვების შედეგად შემუშავდა. ის უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპის რეალიზებას და მოიცავს ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას. საბჭოს წევრებს, დოკუმენტთან დაკავშირებით შენიშვნები და/ან წინადადებები არ გამოუთქვამთ. ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განახლება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან,

აღნიშნული უზრუნველყოფს განათლების სხვადასხვა საფეხურებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარებასა და საქართველოს განათლების სისტემის ევროპულ მოდელთან ჰარმონიზებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი - პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და კარიერული ზრდის რეგულაციის დოკუმენტი - წამოადგინა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერმა, ქ-ნმა ნინო ელბაქიძემ. დოკუმენტი შემუშავდა ევროკავშირის პროექტის დახმარებით და მისი განხილვა მოხდა თემატური ჯგუფის ფარგლებში. პრეზენტაციაში წარმოდგენილი იყო ის ცვლილებები, რომლებიც დოკუმენტმა საბჭოს სხდომის ფორმატში პირველი მოსმენის შედეგად განიცადა. ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ დოკუმენტში ასახულია საბჭოს წევრების ყველა რეკომენდაცია, თუმცა, დახვეწისა და გარკვეული საკითხების დაკონკრეტების საჭიროება კვლავ არსებობს. პასუხად, ქ-ნმა ნინო ელბაქიძემ აღნიშნა, რომ შეუძლებელია ყველა კონკრეტული საკითხის უშუალოდ განხილული დოკუმენტით რეგულირება. მსგავსი საკითხები დეტალურად გაიწერება და დაკონკრეტდება ბრძანებებში, რომლებიც დაერთვება დოკუმენტს. ქ-ნი ირინე ინასარიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სავალდებულო იყოს ტრენინგი ინკლუზიურ სწავლებაში. ქ-ნი ნინო ელბაქიძის აზრით, ამის საჭიროება არ არსებობს, ვინაიდან, ტრენინგის ნებაყოფლობითობის პირობებშიც, მასწავლებლების მხრიდან დასწრების მაჩვენებელი ძალიან მაღალია. ქ-ნმა ირინა წეროძემ აღნიშნა, რომ ტრენინგების სავალდებულოობის საკითხი კვლევისა და შეფასების საგანია. საკითხი შეაჯამა ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა და სთხოვა ქ-ნ ნინო ელბაქიძეს, საბჭოს წევრებს მომდევნო შეხვედრისას გააცნოს მარეგულირებელ დოკუმენტთან დაკავშირებული ბრძანებები, სადაც გაწერილი იქნება კონკრეტული საკითხები.

ქ-ნმა ნინო ელბაქიძემ წარმოადგინა  საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხიც - პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის განხორციელებული ღონისძიებები 2015 წელს და 2016 წლის გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული განათლების განვითარების  სტრატეგიის სამოქმედო გეგმასთან. პრეზენტაციაში წარმოდგენილი იყო სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარების კუთხით განხორციელებული პროგრამა, მიღწეული შედეგები. ასევე, მასწავლებელთა მიერ ტრენინგების შეფასების კითხვარების შედეგები. პრეზენტაციაში,  ასევე, წარმოდგენილი იყო  ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებას ცენტრი 2016 წელს გეგმავს, მათ შორის, მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პროგრამა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა - კონცეფცია - წარმოადგინა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსმა, ბ-ნმა ნიკოლოზ მესხიშვილმა. კონცეფცია მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების, საქართველოს განათლებისა

და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტისა და ყველა სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. პროგრამის წარმომადგენელმა, ქ-ნმა თამარ ქიტიაშვილმა, საბჭოს წევრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია, კონცეფციის შემუშავების პროცესში განხორციელებული აქტივობების შესახებ და აღნიშნა, რომ დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგად გამოვლინდა დამსაქმებელთა მზაობა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირებისა და დანერგვის პროცესებში. პრეზენტაცია, კონცეფციის მიზნების, შინაარსისა და დანერგვის პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მნიშვნელობის გარდა, მოიცავდა ინფორმაციას, კონცეფციის მომზადების მიზნით ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და სიტუაციური ანალიზის შედეგების შესახებ. ბ-ნი გოჩა ალექსანდრიას შეკითხვის პასუხად, თუ ვინ და რა ფორმით იზრუნებს ინსტრუქტორთა მოტივაციაზე და ვინ უზრუნველყოფს მათ დაფინანსებას, ქ-ნმა თამარ ქიტიაშვილმა განმარტა, რომ მსგავსი საკითხები არა ზოგადი, არამედ, დარგობრივი კონცეფციების რეგულირების სფეროა. მან საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 2016 წლის პირველ კვარტალში, დაგეგმილია კონცეფციის განხორციელების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. ქ-ნმა ირინა წეროძემ, დამატებით, აღნიშნა, რომ პირველ ეტაპზე, გაანალიზდება, რომელი მხარისთვის რა სარგებლის შემცველია ამ ტიპის სწავლება და დაიწყება ფინანსური ასპექტების გაანალიზება, რომელიც დარგობრივ კონცეფციაში გაიწერება. რაც შეეხება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირებას, დაიწყება ისეთ სფეროებში, სადაც დიდია დამსაქმებელთა ინტერესი, მაგალითად, მეღვინეობა. ბ-ნმა გოჩა ალექსანდრიამ, ასევე, ისაუბრა დიპლომისშემდგომი სტაჟირების საკითხზე, რომელთან დაკავშირებითაც, ფიქრობს, რომ სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს რეგულირებული. ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ დიპლომისშემდგომი სტაჟირება პროფესიული განათლების ნაწილი არ არის, თუმცა, საბჭოს შესთავაზა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების თემატური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, დამსაქმებლებისა და პროფესიული კავშირების შემადგენლობით, მოხდეს საკითხის განხილვა.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ბ-ნმა ლაშა მარგიშვილმა, წარმოადგინა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - პროფესიული კვალიფიკაციების შეფასების გარე ხარისხის უზრუნველყოფის (ვერიფიკაციის) ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა. კვლევა განხორციელდა MCA – Georgia - ს პროექტის ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ მხარდაჭერით, რომელმაც შეიმუშავა რეკომენდაცია, შიდა ვერიფიკაციის დანერგვასთან დაკავშირებით. პრეზენტაციაში დეტალურად იყო აღწერილი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების არსებული მექანიზმები - ავტორიზაცია და აკრედიტაცია, მათთან დაკავშირებული პროცედურები და ცენტრის სამომავლო ხედვა, რაც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმირებას, კერძოდ, შიდა ვერიფიკაციის დანერგვას გულისხმობს. ასევე, პრეზენტაცია მოიცავდა ინფორმაციას, შიდა ვერიფიკაციის არსის, მიზნებისა და პროცედურების შესახებ. საბჭოს, საკითხთან დაკავშირებით, შენიშვნები და/ან წინადადებები არ გამოუთქვამს.

დღის წესრიგის ბოლო საკითხი - პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საპილოტე სქემის განხორციელების სამოქმედო გეგმა - წარმოადგინა ქ-ნმა ირინა წეროძემ. პრეზენტაციაში აღწერილი იყო პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის არსი და მიზნები, ამ თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული სიტუაცია, მომსახურების გაუმჯობესების გეგმა და მოსალოდნელი შედეგები. საბჭომ, მოიწონა სამოქმედო გეგმა.

ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა შეაჯამა სხდომა და საბჭოს სთხოვა გადაწყვეტილება განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა, ზოგიერთ თემასთან დაკავშირებით არსებული მცირე შენიშვნების მიუხედავად, მოიწონეს სხდომის ფარგლებში განხილული ყველა დოკუმენტი, კერძოდ:

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტის საბოლოო ვერსია;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და კარიერული ზრდის რეგულაციის დოკუმენტი;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებები 2015 წელს და 2016 წლის გეგმა;
- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა - კონცეფცია;
- პროფესიული კვალიფიკაციების შეფასების გარე ხარისხის უზრუნველყოფის (ვერიფიკაციის) ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა;
- პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საპილოტე სქემის განხორციელების სამოქმედო გეგმა.

საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაცია გაგრძელდეს მუშაობა ზემოთჩამოთვლილი ხედვების, კონცეფციებისა და სამოქმედო გეგმების იმპლემენტაციისათვის.